ხელშეკრულება №32
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 22თებერვალი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ტუღუშის სახით და მეორეს მხრივ ფიზ.პირი ნოდარ ქუჯოშვილი პირადი ნოიმერი 59001008476 (მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე) (შემდგომში – მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze" ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად (CPV 60170000) მომსახურების შესყიდვა

1.2.შესყიდვის ობიექტია საფეხბურთო კლუბი დილას გუნდის ტრანსპორტით მომსახურება 2016 წლის 22 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით გორი-ქობულეთი –გორის მიმართულებით ( საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ მატჩზე ბათუმის „ დინამო"- სა და გორის „დილა"-ს შორის)

## *2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2 გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.3 შესყიდვის ობიოექტის ღირებულებაა 650 (ექვსასორმოცდაათი) ლარი.

## *3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს მომსახურების ხარისხიანი მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

4.1.შესყიდვის ობიექტის მომსახურების მიწოდების ვადაა 2016 წლის 22 თებერვლიდან 2016 წლის 23 თებერვლის ჩათვლით.

4.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი-ქობულეთი –გორი.

.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა ხელმოწერით.

## *6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

6.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);

6.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.

6.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

## *7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ავტობუსი ვოლვო სახელმწიფო ნომრით BC901DB გაუწიოს მომსახურება საფეხბურთო კლუბი დილას გუნდს გორი- ქობულეთი –გორის მიმართულებით.

## *8.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;
8.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;
8.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

### *9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 30 მარტის ჩათვლით.

### *10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *11. ფორს-მაჟორი*

11.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;
11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;
11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

121.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *13 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

13.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მომსახურების მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს ადმინისტრატორი ბადრი გიგუაშვილი.
13.2..შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;
13.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *14. სხვა პირობები*

14.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
14.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
14.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
14.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

*15.* მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილას GEORGIA GORI CITI HALLMunicipality Football Club DILA under Tengiz – Burjanadze"
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22 ს/კ 417874973

დირექტორი ზ.ტოლუში

„მიმწოდებელი“

ფიზ.პირი ნოდარ ქუჯოშვილი
მისამართი: გორი მარჯანიშვილის 9.
საბანკორეკვიზიტები სს„საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგ. GE17BG0000000394709800
პირადი ნომერი 59001008476

ნ.ქუჯოშვილი